ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №84

18.05.2021 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე (ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“), ერეკლე კუხიანიძე, ლევან ჯაფარიძე (ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, მაჟორიტარი წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **თევდორე ისაკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **ვახტანგ შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **ლევან ჟორჟოლიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. **ჯაბა ჯიშკარიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **გიგა გიგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **ვიქტორ წილოსანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი;
3. **ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი გიორგი დოხტურიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომა გაიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30), გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 14 მაისის №12-032113438-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 17 მაისის №12-032113715-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 14 მაისის №12-032113438-03 წერილი)

დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნ. ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 13 მაისის №21.623.710 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 8 წინადადება - 2 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივა, ასევე, №01210833057-67(№012111132233-67); №0121182571-67; №01211062656-67(№0121120121-67); №01211041622-67(№01211182940-67); №01210972531-67 და №0121117680-67(№0121125455-67) განცხადება).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით,** ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისთან არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №72.16.18.776-ის მიმდებარედ) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

№72.16.18.776 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე დადგენილია განაშენიანების რეგულირების ხაზები (რომელიც ტერიტორიაზე განსაზღვრავს მიწის ნაკვეთისთვის განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრულ ჰორიზონტალურ წარმოსახვით ხაზს), რომლითაც იზღუდება

მიწის ნაკვეთზე განაშენიანების სიმაღლე. აღნიშნული რეგულირების ხაზების დადგენის პროცესში განისაზღვრა ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), რომლის ინტერაქტიულ რუკაზე ასახვა წარმოადგენს ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს.

ტერიტორიაზე მთავარი გზის ნაწილს წარმოადგენს ჩრდილოეთით მდებარე ლ. კვაჭაძის სახელობის ძირითადი გზათა ქსელი. აღნიშნული ტერიტორია, ასევე, საჭიროებს მეორე ხარისხოვანი გზების არსებობას, რომელიც უზრუნველყოფს მიმდებარედ არსებული რეგისტრაციების მთავარ გზასთან კავშირს. შესაბამისად, მოთხოვნილი სახით ზონის ცვლილება ემსახურება ტერიტორიის ქალაქგეგმარებითად მოწესრიგების, ერთიანი განვითარებისა და მიმდებარე ტერიტორიაზე გზების და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის მიზანს.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით,** ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.21.06.407) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 22 აპრილის №18-01211123078 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიის იმ ნაწილზე, რომელზეც ფაქტობრივი მდგომარეობით განთავსებულია შენობა-ნაგებობები, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენა.

მომხსენებლის, ქ-ნი ნ. ბაგაშვილის თხოვნით, იმის გამო, რომ წარმოდგენილი ინიციატივა საჭიროებს დამატებით დამუშავებას და ხარვეზის გასწორებას, გადადებული იქნა ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.21.06.407) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენის მოხსნის საკითხის განხილვა.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01210833057-67(№01211132233-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ბეღლეთის ქ. №11-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.02.046.019-ის მიმდებარედ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საცხოვრებელი ზონით (სზ).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების

სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2021 წლის 29 მარტის №01210884452 წერილის მიხედვით, მოთხოვნილ მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმება არ წარმოადგენს არსებით ცვლილებას. შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, აღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01211182571-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახელებაში, III მ/რ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.19.39.025.011; №01.19.39.012.040; №01.19.39.014.028; №01.19.39.014.026; №01.19.39.029.108; №01.19.39.010.055 და მიმდებარე ტერიტორიაზე) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) ცვლილება სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) და გამწვანებული ტერიტორიის რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 29 აპრილის №01211192095 წერილით, თანახმაა, წარმოდგენილ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-15 მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) წარმოადგენს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ გამწვანებულ ტერიტორიებს: ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი და სხვა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს სარეკრეაციო სივრცეების მოწყობა.

ამასთან, მოთხოვნილი ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახელებაში, III მ/რ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.19.39.025.011; №01.19.39.012.040; №01.19.39.014.028; №01.19.39.014.026; №01.19.39.029.108; №01.19.39.010.055 და მიმდებარე ტერიტორიაზე) საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) ცვლილება სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) და გამწვანებული ტერიტორიის რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01211062656-67(№0121120121-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქუჩა №5ა-ში (ნაკვეთი: 06/037) მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.05.006.091) ნაწილზე მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, 2021 წლის 23 აპრილის №0121113177 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, ფუნქციური ზონის მოთხოვნილი სახით ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრისა და არსებულ სატრანსპორტო ზონასთან დაკავშირების მიზნით, №01.14.05.006.091 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ ხორციელდება საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქუჩა №5ა-ში (ნაკვეთი: 06/037) მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.05.006.091) ნაწილზე და მიმდებარედ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ვ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№01211041622-67(№01211182940-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.004.149) ნაწილზე მოთხოვნილია სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, 2021 წლის 1-ლი მაისის №01211214 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, აღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის. ამასთანავე, აღნიშნული სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გავრცელდეს №01.72.14.004.052-სა და №01.10.07.003.005 საკადასტრო ერთეულებს შორის ჩრდილოეთით (ვერტიკალურად) არსებულ რეგისტრაციებს (საკადასტრო მიწის ნაკვეთებს) შორის და აგრეთვე, №01.10.07.003.010 და №01.10.07.001.023 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს შორის, №01.10.07.003.802 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთამდე (სამხრეთ-აღმოსავლეთით).

ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და

ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება №01.72.14.004.149 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ გავრცელებული სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.004.149) ნაწილზე და მიმდებარედ სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1), სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონის (სზ) საცხოვრებელი ზონით (სზ), სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ზ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) - **№01210972531-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ე. ბეჟანიშვილის ქუჩა №89-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №1.12.11.022.039-ის მიმდებარედ) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ფაქტობრივად არ წარმოადგენს გზას, გავრცელებულია არსებული შენობა-ნაგებობის ნაწილზე და შესაბამისად, მასზე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სამომავლოდ განვითარების პერსპექტივა არ არსებობს. ამასთანავე, ვინაიდან, აღნიშნულ მონაკვეთზე არ გადაადგილდება ტრანსპორტი, ფუნქციური ზონის მოთხოვნილი სახით ცვლილების შემთხვევაში, სატრანსპორტო ზონის დარჩენილი ნაწილის სიგანე, ყველაზე მცირე მონაკვეთზე, შეადგენს 1.8 მეტრს, რაც საკმარისია ქვეითთა კომფორტული გადაადგილებისთვის. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

- განმარტებითი ბარათის „თ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-8 პუნქტი) - **№0121117680-67(№0121125455-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N19-ში (ნაკვ. 04/012) მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.24.004.012) ნაწილზე მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 29 აპრილის №01211192098 წერილით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, №01.19.24.004.012 საკადასტრო ერთეულის ნაწილსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1) და განვითარებულია აღნიშნული ფუნქციით. შესაბამისად, ფუნქციური ზონის მოთხოვნილი სახით ცვლილებას არ ექნება ფრაგმენტული ხასიათი და არ გამოიწვევს მიმდებარე განაშენიანების ერთიანი სტრუქტურის რღვევას.

ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება ფუნქციური ზონის ცვლილება №01.19.24.004.012 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა №19-ში (ნაკვ. 04/012) მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.24.004.012) ნაწილზე და მიმდებარედ ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა მისაღებია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივასთან, ასევე, №01210833057-67(№01211132233-67); №01211182571-67; №01211062656-67(№0121120121-67); №01211041622-67(№01211182940-67); №01210972531-67 და №0121117680-67(№0121125455-67) განცხადებასთან (სულ: 7 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1. **გადადებულ იქნას** ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.21.06.407) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენის მოხსნის საკითხის განხილვა.
2. **რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 14 მაისის **№12-032113438-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 7 წინადადება - 1

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივა, ასევე, №01210833057-67(№01211132233-67); №01211182571-67; №01211062656-67(№0121120121-67); №01211041622-67(№01211182940-67); №01210972531-67 და №0121117680-67(№0121125455-67) განცხადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 17 მაისის №12-032113715-03 წერილი)

დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნ. ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 14 მაისის №21.630.707 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 4 წინადადება - 1 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივა, ასევე, №012105746-67(№01210954720-67)(სამსახურეობრივი ბარათი: №16-0121120124); №012108830-67(№01211173707-67) (სამსახურეობრივი ბარათი: №16-01211261083) და №0121131241-67 განცხადება).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით,** ქალაქ თბილისში, კრწანისის ქ.

№47ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.18.06.014.184; №01.18.06.014.100) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონი, კრწანისის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის №112 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1-ლი ოქტომბრის №280 დადგენილება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კრწანისის ქ. №47ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.18.06.014.184; №01.18.06.014.100) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№012105746-67(№01210954720-67)(სამსახურეობრივი ბარათი: №16-0121120124) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.11.13.001.080, №01.11.13.002.188, №01.11.13.002.168, №01.11.13.002.190 და №01.11.13.002.187) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა №1-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, გობრონიძის ქუჩაზე, ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, გლდანი-მუხიანისკენ მიმავალ გზაზე ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლებაში, ბაზრობის მიმდებარედ, წყალკანალისკენ; ქალაქ თბილისში, შეშელიძის ქუჩისა და მუხიანის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, მუხიანის მიმდებარედ (საკადასტრო კოდები: №01.11.13.001.080, №01.11.13.002.188, №01.11.13.002.168, №01.11.13.002.190 და №01.11.13.002.187) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №139 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ხორციელდება ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული

სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) და ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენების მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.11.13.001.080, №01.11.13.002.188, №01.11.13.002.168, №01.11.13.002.190 და №01.11.13.002.187) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) და ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენების მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№012108830-67(№01211173707-67) (სამსახურეობრივი ბარათი: №16-01211261083) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.72.14.009.443 და №01.72.14.009.523) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.72.14.009.443 და №01.72.14.009.523) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 აპრილის №162 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ხორციელდება ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.72.14.009.443 და №01.72.14.009.523) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№0121131241-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ბურღების მიწაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.15.687) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ბურღების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.15.687) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 აპრილის №165 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრისა და განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული სატრანსპორტო ზონის გენგეგმით გავრცელებულ სატრანსპორტო ზონასთან არსებული კონფიგურაციით დაკავშირების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ხორციელდება საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ბურღების მიწაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.15.687) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივასთან, ასევე, №012105746-67(№01210954720-67)(სამსახურეობრივი ბარათი: №16-0121120124); №012108830-67(№01211173707-67) (სამსახურეობრივი ბარათი: №16-01211261083) და №0121131241-67 განცხადებასთან (სულ: 4 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 17 მაისის **№12-032113715-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილების პროექტის (სულ: 4 წინადადება - 1 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივა, ასევე, №012105746-67(№01210954720-67)(სამსახურეობრივი ბარათი: №16-0121120124); №012108830-67(№01211173707-67) (სამსახურეობრივი ბარათი: №16-01211261083) და №0121131241-67 განცხადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 17 მაისის **№12-032113715-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 წინადადება - 1 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივა, ასევე, №012105746-67(№01210954720-67)(სამსახურეობრივი ბარათი: №16-0121120124); №012108830-67(№01211173707-67) (სამსახურეობრივი ბარათი: №16-01211261083) და №0121131241-67 განცხადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:  გიორგი დოხტურიშვილი